



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	ისტორიის საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Bachelor's Program in History

უმალესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	აკადემიური პროგრამა

სწავლების ენა	
	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში (1004)– 240 კრედიტი პროგრამა იძლევა საშუალებას, რომ სურვილის შემთხვევაში სტუდენტმა 180 კრედიტის დაგროვების შემდეგ მიიღოს (Minor) - დამატებითი სპეციალობა, 60 კრედიტის ფარგლებში
ინლისურად:	Bachelor of Humanities in History (1004)

საბაკალავრო პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2011 წლის 28 ივნისის ბრძანებით 01/05-130; განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2012 წლის 31 აგვისტოს ბრძანებით 01/01-22 და 2013 წლის 27 აპრილის #01/01-13 ბრძანებით და 2013 წლის 18 სექტემბრის #07/01-02 ბრძანებით; 2014 წლის 31 მაისის 01/01-68 ბრძანებით, 2016 წლის 3 სექტემბრის ბრძანებით #01/01-34, 2017 წლის 17 თებერვლის ბრძანებით #01/01-03. 2017 წლის 3
--	---

	მაისის ბრძანებით №01/01-15. 2017 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებით №01/01-32
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	ევა კვაჭანტირაძე
ინფორმაცია იხ. “ პროგრამის ხელმძღვანელის CV”	სრული პროფესორი, ისტორიის დოქტორი
დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2013 წლის 27 აპრილის #01/01-12 ბრძანებით	

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
<p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრ. საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრ.საათს).</p> <p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.</p> <p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. აქედან 30 ECTS კრედიტი ეთმობა ზოგადსაუნივერსიტეტო/სასკოლო სავალდებულო საგნებს, 30 ECTS კრედიტი - ზოგად ინგლისურ და პროფესიულ ინგლისურ ენას, 20 ECTS კრედიტი - მეორე უცხო ენას, 100 ECTS კრედიტი - დარგობრივ/პროფესიულ სავალდებულო საგნებს. მათ შორის საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა მოიცავს 10 ECTS კრედიტს; 30 ECTS კრედიტი ეთმობა კონცეტრაციას, ხოლო, 30 ECTS კრედიტი ეთმობა დარგობრივ/პროფესიულ არჩევით საგნებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა აირჩიოს შეთავაზებული 95 ECTS კრედიტიდან.</p> <p>მოცემულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 ECTS კრედიტიდან 180 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ (მათ შორის 120 ECTS კრედიტი მაპროფილებელ დისციპლინებში) დასაშვებია მიენიჭოს ”შუალედური კვალიფიკაცია” ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით, ისტორიის სპეციალობაში.</p> <p>მოცემულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლების მეოთხე წელს პროგრამა აძლევს საშუალებას გაიღმავოს ცოდნა მისი ინტერესის შესაბამისად ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და მიენიჭება კვალიფიკაცია – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში.</p> <p>მოცემულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლების მეოთხე წელს პროგრამა ასევე აძლევს საშუალებას, რომ აირჩიოს და სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლასა და სახელმწიფო მართვის სკოლაში მოქმედ Minor დამატებით სპეციალობის ნებისმიერ პროგრამაზე, 60 კრედიტის ფარგლებში.</p>	

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>➤ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული</p>	

გამოცდები (ეროვნულ გამოცდებზე მოთხოვნილია უცხო ენის - ინგლისური ენის ჩაბარება).

- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.
- სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში გადმოსვლის სურვილის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის და საბოლოო გადაწყვეტილებას დებულობს საუნივერსიტეტო მობილობის კომისია.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>საბაკალავრო პროგრამის მიზანი</p>	<p>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის და პროფესიული უნარების მქონე ისტორიის სპეციალისტების მომზადება, საფუძვლიანი და მრავალმხრივი ისტორიული განათლების მიცემა (პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური ისტორიის ცოდნა). ისტორიის ძირითადი საკითხების შესწავლა მოხდება მსოფლიოს ისტორიულ პროცესებთან ინტეგრირებულად, რაც სტუდენტებს საკუთარი თუ უცხო ქვეყნების ისტორიის ხედვის და შედარებითი ანალიზის უნარებს გამოუმუშავებს.</p> <p>სტუდენტები შეისწავლიან ისტორიის ძირითად და დამხმარე დისციპლინებს, ზოგად ჰუმანიტარულ და სოციალურ-ეკონომიკურ, ზოგად პროფესიულ და სპეციალურ დისციპლინებს, აგრეთვე არჩევით საგნებს. სტუდენტები გაივლიან სამუზეუმო, საარქივო, არქეოლოგიურ (საველე), ეთნოლოგიურ (საველე) პრაქტიკას.</p> <p>სტუდენტები სურვილისამებრ აირჩევენ ისტორიის ორი მიმართულებიდან ერთ-ერთს (საქართველო, მსოფლიო). შესაბამისად, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს საგანთა მოდულებს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი საგნებს ამ მიმართულებებიდან.</p> <p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს: გააცნობიეროს ისტორიის შესწავლაში ძირითადი და დამხმარე დისციპლინების როლი, მიიღოს ცოდნა ისტორიის დარგის ძირითადი მიმართულებებისა და მიდგომების, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლების, მნიშვნელოვანი და სპეციფიკური ტერმინოლოგიის შესახებ; შეიმეცნოს ქართული ცივილიზაციის მნიშვნელობა და გაიაზროს ის მსოფლიო ისტორიის კონტექსტში; სრულყოფილი წარმოდგენა შეიქმნას ძველი მსოფლიოსა და ევროპა-ამერიკის ცივილიზაციების შესახებ, გამოიმუშავოს ტიპოლოგიურად განსხვავებულ საისტორიო წყაროებზე მუშაობის უნარ-ჩვევები, ჩაწვდეს დემოკრატიულ ფასეულობებს და შეიმეცნოს საზოგადოების განვითარების ძირითადი ეტაპები მასთან მიმართებაში.</p>
<p>საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი</p>	<p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიმეცნოს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.</p> <p>სტუდენტს აქვს ისტორიის სფეროს საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა. დაუფლებულია თანამედროვე მსოფლიოს ისტორიული განვითარების თავისებურებებს. შეუძლია სხვადასხვა ტიპის საისტორიო წყაროებზე მუშაობა, მათი ანალიზი და გამოყენება. აქვს მრავალფეროვანი კონტექსტში სხვადასხვა პერიოდის ისტორიული პრობლემების ანალიზის, შეფასების, სპეციფიკურ სამუზეუმო და საველე საქმიანობაში ადაპტირების, საკვლევ საკითხზე სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვაენოვანი ისტორიული წყაროების მიზნობრივად მოძიების, კლასიფიკაციის, დამუშავების, ანალიზისა</p>

	და საკვლევ საკითხზე სწორი დასკვნების გამოტანის უნარი. ასევე ევროპულ ენებზე კომუნიკაციის უნარი, სამეცნიერო კონფერენციებზე, საქმიან შეხვედრებზე, სატელეფონო და ვიდეო კონფერენციებზე, დებატებში და დისკუსებში მონაწილეობის უნარი. ითვალისწინებს სხვადასხვა ინსტიტუციების კულტურის და ღირებულებების მნიშვნელობას ისტორიული რაკურსით ანალიზის გაკეთებისას.
დასაქმების სფეროები	ისტორიის პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებია: სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, უცხოური კერძო ორგანიზაციები, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი, მედია (მათ შორის უცხო ენოვანი), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საკონსულტაციო ცენტრები, მუზეუმები და არქივები.
სწავლის გაგრძელების საშუალება	ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, კანონით დადგენილი წესისამებრ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	<p>საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.</p> <p>სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.</p> <p>შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს</p>
---	---

ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, კვლევითი ესსე და სხვა) გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

სწავლებისა და სწავლის
მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები	
<ul style="list-style-type: none"> ➤ კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი – 12 სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი; ➤ პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები; ➤ მოწვეული სპეციალისტები 	

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების სხვა რესურსები	
<p>კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.</p> <p>პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ➤ ვარშავის უნივერსიტეტი „Collegium Civitas” (პოლონეთი) ➤ ადამ მიცკევიჩის პოზნანის უნივერსიტეტი (პოლონეთი) ➤ ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ესტონეთი) ➤ შიაულიაის უნივერსიტეტი (ლიტვა) <p>სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საქართველოს კულტურის სამინისტრო ➤ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ➤ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) ➤ საქართველოს ეროვნული მუზეუმი 	

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	
<ul style="list-style-type: none"> ➤ კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; ➤ კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკები; ➤ 3 ლოკალური ქსელი და ინტერნეტი (უსადენო ინტერნეტით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია) ➤ 3 კომპიუტერული ცენტრი (80 კომპიუტერი) და სტუდენტებისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული 150-მდე პერსონალური კომპიუტერი. ➤ სასწავლო აუდიტორიები. 	

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
სილაბუსები	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
აღწერილობები	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
			ზოგადსაუნივერსიტეტო და სასკოლო სავალდებულო საგნები:	20	5	5							30
1.	ACWR 1160	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5									5
2.	PHIL 0005	არ გააჩნია	ფილოსოფია	5									5
3.	ISOC 1160	არ გააჩნია	სოციოლოგიის შესავალი	5									5
4.	CSC 1160	არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5									5
5.	PSYC 0006	არ გააჩნია	შესავალი ფსიქოლოგიაში		5								5
6.	RESH 2160	არ გააჩნია	შესავალი კვლევის მეთოდებში			5							5
			მოდული - ინგლისური ენა (სავალდებულო)	5	5	5	5	5	5				30
7.	ENGL 0005/ ENGL 0007	არ გააჩნია	B1.0 ზოგადი ინგლისური/ B2.0 ზოგადი ინგლისური	5									5
8.	ENGL 0006/ ENGL 0008	ENGL 0005/ ENGL 0007	B1 ზოგადი ინგლისური/ B2 ზოგადი ინგლისური		5								5
9.	ENGL 0007/ ENGL 0006/	ENGL 0006/ ENGL 0007/	B2.0 ზოგადი ინგლისური/ C 1.0 ზოგადი ინგლისური			5							5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
	ENGL 0009	ENGL 0008											
10.	ENGL 0008/ ENGL 0010	ENGL 0007/ ENGL 0009	B2 ზოგადი ინგლისური/ C 1 ზოგადი ინგლისური				5						5
	ENGH 0160	ENGL 0007– 0008/ ENGL 0009–0010	PT 1 პროფესიული სამიზნე ენა (ჰუმანიტარული მეცნიერებები)					5					5
	ENGH 0260	ENGH 0160	PT 2 პროფესიული სამიზნე ენა (ჰუმანიტარული მეცნიერებები)						5				5
			მოდული - მეორე უცხო ენა (სავალდებულო/არჩევითი)			5	5	5	5				20
11.	FREN/GERM 0001/ESP 0001/PERS 0001	არ გააჩნია	მეორე უცხო ენა A1.0			5							5
12.	FREN/GERM 0002/ESP 0002/ PERS 0002	FREN/GERM 0001/ ESP 0001/PERS 0001	მეორე უცხო ენა A1				5						5
13.	FREN/GERM 0003/ ESP 0003 / PERS	FREN/GERM 0002/ ESP 0002/ PERS 0002	მეორე უცხო ენა A2.0					5					5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
	0003												
14.	FREN/GERM 0004/ ESP 0004/ PERS 0004	FREN/GERM 0003/ ESP 0003/ PERS 0003	მორე უცხო ენა A2						5				5
			მოდული - დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო საგნები	5	20	15	10	10	10	10	10	20	100
15.	HIST 1160	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე	5									5
16.	HIST 1260	HIST 1160	საქართველოს ისტორია მე-13 საუკუნიდან დღემდე		5								5
17.	HIST 0001	არ გააჩნია	მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია		5								5
18.	WAH 1260	არ გააჩნია	მსოფლიო ხელოვნების ისტორია		5								5
19.	HIST 1261	არ გააჩნია	ისტორიული მეცნიერების შესავალი		5								5
20.	HIST 2161	HIST 0001	ძველი აღმოსავლეთის ისტორია			5							5
21.	HIST 2162	HIST 0001	ანტიკური ქვეყნების ისტორია			5							5
22.	POLS 0002	არ გააჩნია	პოლიტიკური მეცნიერების შესავალი			5							5
23.	HIST 2260	HIST 2161	ბიზანტიის ისტორია				5						5
24.	EMA 2260	HIST 2162	ევროპა შუა საუკუნეებში				5						5
25.	HIST 3160	არ გააჩნია	ევროპის და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია					5					5
26.	NEH 3160	არ გააჩნია	მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია					5					5
27.	HCAU 3260	HIST 1160 HIST 1260	კავკასიის ხალხთა ისტორია						5				5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
28.	MST 3260	არ გააჩნია	მუზეუმთმცოდნეობა						5				5
29.	HIST 4160	არ გააჩნია	ისტორიული აზრის ისტორიოგრაფია								5*		5
30.	GREC 4160	არ გააჩნია	ძველი ბერძნული ენა								5*		5
31.	GRR 4260	HIST 1160 HIST 1260 HCAU 3160	საქართველო-რუსეთის ურთიერთობები									5*	5
32.	PSSP 4260	არ გააჩნია	პოსტსაბჭოთა ქვეყნები: ისტორია და პოლიტიკა									5	5
33.	THES 4260	RESH 2160 RD 4160	საბაკალავრო ნაშრომის მომზადება									10	10
			მოდული დარგობრივი და პროფესიული არჩევითი საგნები				5	5	5	10	5		30
34.	NUM 2260	არ გააჩნია	ნუმისმატიკა, ბონისტიკა				5						5
35.	IR 2260	არ გააჩნია	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი				5						
36.	LOG 2260	არ გააჩნია	ლოგიკა				5						
37.	INL 2260	არ გააჩნია	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი				5						
38.	POLS 3160	POLS 0002	დემოკრატია და დემოკრატიზაცია					5					5
39.	SMWT 3160	არ გააჩნია	მუსლიმური სამყაროს აზროვნების სპეციფიკა					5					
40.	GIR 3160	არ გააჩნია	ქართულ-ირანული ურთიერთობები					5					
41.	POLS 3261	POLS 0002	საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები						5				
42.	WLIT 3260	არ გააჩნია	მსოფლიო ლიტერატურის ისტორია						5				5
43.	PRAC 3260	არ გააჩნია	პროფესიული პრაქტიკა						5				
44.	DIPL 4160	IR 2260	დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი								5*		
45.	RCMW 4160	IR 2260	რეგიონალური კონფლიქტები თანამედროვე მსოფლიოში								5*		
													10

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი/ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
46.	POLS 4160	POLS 0002	გეოპოლიტიკა								5*		
47.	RDM 4160	RESH 2160	კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია								5		
48.	POLS 4260	POLS 0002	პოლიტიკური იდეოლოგიები									5*	
49.	IM 4260	არ გააჩნია	საერთაშორისო მედია										5*
50.	MGS 4260	არ გააჩნია	პროექტის მართვა										5*
51.	ECOM 4260	არ გააჩნია	ეფექტური კომუნიკაციები										5*
52.	BSSR 4260	HIST 1160 HIST 1260	საქართველო, შავი ზღვა და დიდი აბრეშუმის გზა										5*
			ა) კონცენტრაცია - მსოფლიო ისტორია სავალდებულო საგნები				5	5	5	10	5		30
53.	ETN 2260	არ გააჩნია	ზოგადი ეთნოლოგია				5						5
54.	SST 3160	არ გააჩნია	წყაროთმცოდნეობა					5					5
55.	WREL 3260	HIST 0001	მსოფლიო რელიგიების ისტორია						5				5
56.	WCVL 4160	HIST 0001	დასავლური ცივილიზაციები								5*		5
57.	WAG 4160	HIST 3160	ომი და გლობალიზაცია								5*		5
58.	CCH 4260	WREL 3260	ქრისტიანული ეკლესია – წარსული და თანამედროვეობა									5*	5
			ბ) კონცენტრაცია - საქართველოს ისტორია სავალდებულო საგნები				5	5	5	10	5		30
59.	GARC 2260	არ გააჩნია	საქართველოს არქეოლოგია				5						5
60.	GAH 3160	WAH 1260	ქართული ხელოვნების ისტორია					5					5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი/ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
61.	GSST 3260	SST 3160	საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა						5				5
62.	HIST 4161	HIST 1260	საქართველოს ისტორია ეროვნული მოძრაობიდან 2016 წლამდე								5*		5
63.	KTS 4160	GSST 3260	„ქართლის ცხოვრება“ – აზროვნების განსხვავებული ტიპი								5*		5
64.	GCH 4260	არ გააჩნია	საქართველოს ეკლესიის ისტორია									5'	5
საგნების/მოდულების რაოდენობა წელიწადში			სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30	30	240
			წელიწადში	60		60		60		60		60	

შენიშვნა :

✓ ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლების მეოთხე წელს პროგრამა ასევე აძლევს საშუალებას, სწავლა გააგრძელოს არჩეული სპეციალობის მიხედვით და დააგროვოს 60 ECTS კრედიტი (საგნები აღნიშნულია ფიფქებით) ან აირჩიოს და სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სახელმწიფო მართვის სკოლებში მოქმედ Minor დამატებით სპეციალობის ნებისმიერ პროგრამაზე, 60 ECTS კრედიტის ფარგლებში;

